ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

როსტომი მსხალაძე

თანამედროვე ლიბერალიზმის პრობლემები აშშ-სა და კანადაში 2016 წლიდან დღემდე

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი ნინო მაისურაძე

თბილისი

2024

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ადამიანის უფლებები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს მრავალ სახელმწიფოში, რომელთა რიცხვში შედის აშშ და კანადა, ლიბერალური მოძრაობები აქტიურად ერთვებიან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზანი, შესაძლოა, ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებაა, მათ მიერ შემოთავაზებული პრობლემის მოგვარების გზები, ხშირად, უკუეფექტს იძლევა. სწორედ მსგავსი რჩევების გამო ლიბერალიზმმა შედარებით დაკარგა თავისი პოპულარულობა მთელს მსოფლიოში. თუმცა ის იდეები, რომლებსაც ისინი ავრცელებენ საინფორმაციო მედიის საშუალებით ჯერ კიდევ ზემოქმედებს ადამიანთა დიდ ნაწილზე. თანამედროვე ლიბერალიზმს ახასიათებს ადამიანის უფლებების დაცვით შემოსილი ძალაუფლების მოპოვების სურვილი, რაც აზიანებს მის ავტორიტეტს და აშორებს მას თავდაპირველი საფუძვლიდან, რაც ადამიანის უფლებებისა და თანასწორობისათვის ბრძოლას გულისხმობდა.

მიზნად ვისახავ იმ საფრთხეების წარმოდგენას, რომლებიც ლიბერალიზმის რადიკალიზაციითა და საზღვრის მოშლით წარმოდგება. მოცემული ინფორმაციის გაანალიზებითა და სხვადასხვა წყაროს წარმოდგენით, კვლევის მიზანია ვალიდური ცოდნის შექმნა დასმულ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები:

- ლიბერალიზმი
- სიტყვის თავისუფლება
- იდენტობა
- ნაცვალსახელები

Abstract

In the modern world, where human rights occupy one of the most important places in many countries, including the USA and Canada, liberal movements are actively involved in the political life of the country. However, while their goal may be to improve people's lives, the solutions they offer often backfire. It is because of such advices that liberalism has lost its popularity around the world. However, the ideas they spread through the news media still influence a large number of people. Modern liberalism is characterized by the desire to acquire power hidden by the protection of human rights, which damages its authority and distances it from its original basis, which meant fighting for human rights an equality.

I aim to present the dangers posed by the radicalization of liberalism and the disruption of borders. By analyzing the given information and presenting different sources, the purpose of the research is to create valid knowledge on this topic.

Key words:

- Liberalism
- Free speech
- Identiity
- Pronouns

სარჩევი

შესავალი 5

თეორიული ჩარჩო 8

ლიტერატურის მიმოხილვა 8

თავი I. ლიბერალიზმი ამერიკაში 9

თავი II ლიბერალიზმი და აბორტი 12

თავი III. ლიბერალიზმი კანადაში 14

3.1. ლიბერალიზმი და სიტყვის თავისუფლება 15

თავი IV. წინააღმდეგობები და გამოწვევები 17

დასკვნა 22

გამოყენებული ლიტერატურა: 25

შესავალი

თემის აქტუალურობა: ლიბერალიზმმა განვითარების დიდი ეტაპი გაიარა. მიუხედავად მისი თავდაპირველი ამოცანისა „ყველა ადამიანის თავისუფლებისთვის და თანასწორობისთვის“ ებრძოლა, დღევანდელობაში რეალობას მოშორებული იდეები უნდობლობას იწვევს საზოგადოების დიდ ნაწილში. ბუნებრივია, ადამიანები თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით უნდა თანაარსებობდნენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ყველა ადამიანი ერთნაირია ან ყველა ადამიანი თანასწორია სოციალური, ეკონომიკური ან სხვა ნიშნით (ყველა საზოგადოებაში არსებობს იერარქია, რომელშიც ადგილს ადამიანები ძირითადად კომპეტენციის დონით იკავებენ. იმის მიუხედავად გვინდა ეს თუ არა, ერთი ადამიანი მეორეზე მდიდარია, ჭკვიანია, კომპეტენტურია და ა.შ). სწორედ ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობა ლიბერალების მხრიდან ჰბადებს შეკითხვას, რა საფრთხეებს ქმნის თანამედროვე ლიბერალური იდეები?

თანამედროვე ლიბერალიზმის პრობლემების ყველაზე ნათელი და ყოვლისმომცველი მაგალითია “BILL C-16”-ი, რომელიც პირველად წარმოდგენილი იყო 2016 წლის 17 მაისს (Canada, 2016) , ხოლო 2017 წლის 19 ივნისს ის ძალაში შევიდა (Congress, 2017). “BILL C-16” გულისხმობს კონკრეტული ნაცვალსახელების გამოყენებას ადამიანების მიმართ, რომლებიც თავად ირჩევენ თუ რა ნაცვალსახელი მოერგებათ მათ (Canada, 2016). თანამედროვე სამყაროში, სადაც სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობა ისტორიულად დამტკიცებულია, მსგავსი კანონის შემუშავება ან დაუფიქრებლობითა და არაკონპეტენტურობით არის გამოწვეული ან რადიკალი მემარცხენეების ზეწოლით, რომლებსაც დიდი ძალა გააჩნიათ კანადაში. დიდი განსხვავებაა იმას შორის თუ რისი თქმა არ შეგიძლია (შეგინება, დაწყევლა, ძალადობისკენ ბიძგი და ა.შ) და იმას შორის თუ რა უნდა თქვა. ეს თითქოსდა პატარა სხვაობაა, მაგრამ სწორედ ეს არის განსხვავება გამართლებულ შეზღუდვასა და იძულებულ მეტყველებას შორის. ჩვენ კანონით გვეკრძალება ადამიანის შეურაცხყოფა და არ გვაქვს უფლება, რომ ვინმეს ძალადობისკენ ან/და უკანონო ქმედებისკენ ვუბიძგოთ, რადგან ეს გამართლებული და სასარგებლო შეზღუდვაა თანაარსებობისთვის, მაგრამ სახელმწიფოს

მიერ გარკვეული სიტყვების გამოყენების იძულება, სრულიად გაუმართლებელი და ადამიანის სიტყვის თავისუფლების დამრღვევი რეალობაა. ჩვენ სიტყვებს ვიყენებთ იმიტომ, რომ გამოვხატოთ ჩვენი აზრი ამა თუ იმ თემის მიმართ, შესაბამისად ჩვენი სიტყვები ჩვენი ფიქრის ნაყოფია და თუკი სახელმწიფო გვაიძულებს კონკრეტული სიტყვების გამოყენებას, ის ავტომატურად ჩვენი აზროვნებისა და ფიქრის გაკონტროლებას ახდენს. გარდა ამისა, ამ კანონპროექტის შემოღების შემდეგ საზოგადოებაში უამრავი იდენტობა გაჩნდა. „ არ მგონია, რომ ადამიანები, ვინც ამ კანონპროექტის ინიცირება მოახდინა ოდესმე მოელოდნენ, რომ მოხდებოდა იდენტობების აბსოლიტური აფეთქება“ (Dr. Jordan B Peterson, (2017/05/17). Senate hearing on Bill C 16. 25:49-25:56). ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება, უამრავი იდენტობის გამო, გაარკვიო თუ ვის როგორ უნდა მიმართო იმისთვის, რომ კანონი არ დაარღვიო. ბუნებრივი, მსგავს კანონპროექტს მოჰყვებოდა დებატები მის ლეგიტიმურობასთან და სარგებელთან დაკავშირებით, რაც დღემდე გრძელდება ამერიკასა და კანადაში.

იქედან გამომდინარე, რომ თანამედროვე ლიბერალიზმი საკმაოდ მყარ პოზიციას იკავებს აშშ-სა და კანადაში, მათი ჩართულობა ამ სახელმწიფოების პოლიტიკაში მაღალია. საინფორმაციო მედია საშუალებების დიდი ნაწილი მემარცხენეებსა და ლიბერალებს უკავიათ. ამას ემატება კანადაში მიღებული კანონი “Bill C-16”, რომლის თანახმადაც ადამიანის მიმართ მათთვის მისაღები ნაცვალსახელის არ გამოყენების შემთხვევაში, ადამიანი, რომელმაც უარი თქვა ნაცვალსახელის გამოყენებაზე ბრალდებული იქნებოდა შევიწროებაში და მის მიმართ სხვადასხვა სადამსჯელო სამუშაოები იქნებოდა გამოყენებული. მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე ლიბერალიზმმა ძალაუფლების მოპოვებაში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და საკუთარი სურვილი კანონის სახითაც შემოიღო. “Bill C-16”-მა ცხარე დებატები გამოიწვია, რადგან ის აშკარად ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას, რადგან აიძულებდა ერთ ადამიანს კონკრეტული ნაცვალსახელების გამოეყენებინა მეორეს მიმართ, იმაზე დაყრდნობით თუ რომელი ნაცვალსახელი ერჩივნა ამ ადამიანს (she, he, it, they, them, zey, zem და ა.შ). ეს საკითხია აქტუალურია, რადგან ეს თანამედროვეობის პრობლემაა და ის შეზღუდვები და საფრთხეები, რომლებსაც თანამედროვე ლიბერალიზმი იწვევს ადრე თუ გვიან ჩვენამდეც

მოაღწევს. აქვე უნდა ითქვას, რომ კიდევ ერთი მიზეზი ამ საკითხის აქტუალურობისა არის ლიბერალიზმის ავტორიტეტის დაბრუნება, როგორც თანასწორობისა და უფლებებისთვის მებრძოლის იდეოლოგიის. აღნიშნული კვლევის სიახლეა აშშ-სა და კანადას შორის შედარება თანამედროვე გამოწვევების კუთხით.

კვლევის მიზანი: მიზნად ვისახავ იმ გამოწვევების გაანალიზებას, რომელიც თან ერთვის ლიბერალიზმის რადიკალიზაციას. ჩემი მიზანია ვაჩვენო ის საფრთხეები, რის გამოც ლიბერალიზმის კრიტიკა იზრდება.

საკვლევი კითხვა:

1) რა პრობლემები გააჩნია თანამედროვე ლიბერალიზმს აშშ-სა და კანადაში?

2) როგორ გავარკვიოთ როდის ხდება ლიბერალიზმი რადიკალური?

ჰიპოთეზა: თანამედროვე ლიბერალიზმი აშშ-სა და კანადაში ვიწრო იდენტობის ჯგუფების პოლიტიკაზე ორიენტირებით, ცდილობს ძალაუფლებასა და საყოველთაო კონტროლის მოპოვებას, რაც აშორებს ამ იდეოლოგიას თავისი საწყისი მიზნებისგან ან რაც განაპირობებს ლიბერალიზმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას.

კვლევის მეთოდი: კვლევაში ვიყენებ მეორადი წყაროების კრიტიკულ ანალიზს და შედარების მეთოდს.

მოცემულ საკითხზე ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოვიყენე არაშემთხვევითი შერჩევის მეთოდი, კერძოდ, მიზნობრივი შერჩევა. შერჩევაში მოხვდნენ აშშ-სა და კანადის პოლიტიკური მოღვაწეების, საჯარო პიროვნებების, მეცნიერების ნაშრომები, საჯარო გამოსვლები, კონფერენციები და ა.შ. ასევე გამოვიყენე მოცემულ თემასთან დაკავშირებული ინტერნეტ რესურსებში მოპოვებული ინფორმაცია.

თეორიული ჩარჩო

იდენტობის პოლიტიკა კვლევის მსვლელობისთვის განმსაზღვრელ მნიშვნელობას წარმოადგენს, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, სწორედ მასზეა აგებული კვლევაში განხილული სხვა საკითხები. იდენტობის პოლიტიკის გაანალიზებაში დიდი წვლილი შეიტანა ფრენსის ფუკუიამამ ნაშრომში "იდენტობა; იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“. იმის განსაზღვრის გარეშე თუ რა არის იდენტობის პოლიტიკა და როგორი შედეგები მოაქვს მას გრძელვადიანი პერსპექტივით, ვერ ვისაუბრებთ ნაშრომში განხილულ სხვა საკითხებზე ყოვლისმომცველად.

ლიტერატურის მიმოხილვა

არ არსებობს მეცნიერული ლიტერატურა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ადამიანების მიმართ მათთვის მისაღები ნაცვალსახელების გამოყენებით მათი ცხოვრება გაუმჯობესდება ან/და მათი პრობლემები მოგვარდება. ცხოვრება რთულია და სიძლიერეს მოითხოვს პიროვნებისგან დაბრკოლებების გადალახვის პერიოდში და თუკი „მსხვერპლის მენტალიტეტი“ მართავს ადამიანს, ის ვერ გაართმევს თავს ცხოვრების სირთულეებს. „მსხვერპლის მენტალიტეტს“ ძალიან ბევრი ცუდი მხარე აქვს, გარდა იმისა, რომ ის აიძულებს ადამიანს ყველაფერი სამყაროს და სხვებს დააბრალოს ის იწვევს დანაშაულის, სირცხვილის, იზოლაციის გრძნობას და ხშირ შემთხვევაში ადამიანი საკუთარი თავისთვის საზიანო ქმედებებს ჩადის (Cuncic, 2023).

იდენტობის პოლიტიკა, რომელიც ადამიანებს რასის, რელიგიის, კულტურის ან სხვა საერთო ნიშნის ქვეშ აერთიანებს ამ ჯგუფის წევრების მიმართ განხორციელებული უსამართლობის გამოსწორების მიზნით და ერთი ან რამდენიმე ჯგუფის წინააღმდეგ განაწყობს (Duingan, 2022), ამის ნათელი მაგალითია „თეთრი პრივილეგია“, ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება ცნობილი და წარმატებული ხალხის შრომის დასაკნინებლად ან უბრალოდ თეთრკანიანის აზრის უმნიშვნელობის განსასაზღვრათ, როგორც ამერიკაში ისე კანადაში.

კონსერვატორული იდეების მომხრეები ბენ შაპირო, ჯორდან პეტერსონი, კენდის ოუენსი და სხვები. რომელთა ნაშრომებზე, საჯარო გამოსვლებზე და მოღვაწეობაზე გავამახვილებ ყურადღებას ამ ნაშრომში გაერთიანებულები არიან ამერიკულ კომპანიაში სახელდა "The Daily Wire", რომელიც დაფუძნებულია ბენ შაპიროსა და ჯერემი ბორეინგის მიერ 2015 წელს და წარმოადგენს ამერიკული კონსერვატორული ახალი ამბების ვებ გვერს და მედია კომპანიას (Wire, n.d.). ჯორდან პიტერსონი ძირითადად საუბრობს „Bill C16"-ის საფრთხეებზე და პიროვნული პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე ადამიანისთვის, ეს მას განასხვავებს სხვა ჩამოთვლილი ავტორებისგან, რომლებიც ძირითადად ლიბერალიზმის კრიტიკით გამოირჩევიან.

თავი I. ლიბერალიზმი ამერიკაში

ლიბერალიზმის წარმოშობა დაკავშირებულია ფრანკლინ დელანო რუზველტთან და მის სახელმწიფო პროგრამასთან სახელწოდებით „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო" (Munro, 2023). მას შემდეგ მან ბევრი ცვლილება განიცადა და დღევანდელობას ახალი ფორმით შემორჩა. ლიბერალური თეორიების პოპულარობიდან გამომდინარე, საზოგადოების გარკვეული ნაწილი განიცდის შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით თუ რისი მომტანი შეიძლება იყოს ამ თეორიების რადიკალიზაცია. აშშ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სახელმწიფოა, რაც ადამიანის უფლებათა დაცვითა და თავისუფლების დონით გამოიხატება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამერიკაში, გარდა LGBTQ საზოგადოებისა, ენიჭება რასიზმის აღმოფხვრას. კონსტიტუციური რასიზმის მაგალითები თანამედროვე ამერიკაში არ გვაქვს, თუმცა საზოგადოების ნაწილი მაინც მიიჩნევს რასიზმს ამერიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. რასიზმის კუთხით, ამერიკა, რა თქმა უნდა, თავისი არსებობის დასაწყისში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა იყო, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება კონსტიტუციური რასიზმის არსებობისა. არ ვსაუბრობ კერძო შემთხვევებზე, რომელთა არსებობაც არ გამოირიცხება. თუმცა განსხვავება დიდია

კონსტიტუციურ რასიზმსა (სადაც უშუალოდ მთავრობა ქმნის რასისტულ გარემოსა და კანონებს, როგორც სამოქალაქო სეგრეგაციის დროს იყო) და კერძო შემთხვევებს შორის (როდესაც რასიზმის არსებობა სახელმწიფოს მიერ არ არის წახილისებული და კონკრეტული პიროვნების ან პიროვნებების მხირად შეინიშნება). მონობის გაუქმებამ და ლიბერალურმა დემოკრატიამ დღესდღეობით შეცვალა გარემო აშშ-ში. რატომ არის რასიზმის პრობლემა თანამედროვე ამერიკაში? მიუხედავად მთავრობის ჩართულობისა ყველას და ყველგან ჰქონდეს ერთნაირი უფლებები, ხშირია რაზისმზე და დისკრიმინაციაზე საუბრები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს საუბრებში მთავრობაზეც მახვილდება ყურადღება, ამ ეტაპისთვის არ არსებობს მტკიცებულება, რომ მთავრობა რაიმე სახით ხელს უწყობს რასიზმს. ლიბერალური იდეების გავრცელებამ და პოპურალიზაციამ განაპირობა მსხვერპლის ფსიქოლოგიის დამკვიდრება. ამის გამო ხშირად დისკრიმინაციასა და რასიზმს ხედავენ იქ, სადაც ის არ არის.

ამერიკელები კეთილგანწყობილები არიან უმცირესობების მიმართ. 2022 წლის მონაცემებით, გამოკითხვაში მონაწილეობის მიმღებთა 64%-მა განაცხადა, რომ მხარს უჭერს და დაუჭერს კანონების შემოღებას, რომლებიც დაიცავს ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებს სამუშაოზე, სახლში და საზოგადოებაში, მხოლოდ 10%-მა განაცხადა, რომ ის ამას არ გააკეთებს, ხოლო 25 %-მა ნეიტრალური მხარე დაიჭირა (Center, 2022) . ეს მაჩვენებელი არ არის გასაკვირი ამერიკის მყარი პოლიტიკის გამო დაიცვას ადამიანთა უფლებები და ყოველგვარი დარღვევა ამ ჭრილში განკიცხოს. აშშ-ს საზოგადოება შეეჩვია უმცირესობებთან ერთად ცხოვრებას და მათ მიმართ კეთილგანწყობაც ჩამოუყალიბდათ. LGBTQ საზოგადოების შედარებით ახალი იდეა, რომ სქესი არ არის ბიოლოგიური და მისი შეცვლა ადამიანზეა დამოკიდებული, შედარებით კრიტიკულად მიიღო საზოგადოებამ, თუმცა, ამის მიუხედავად 2022 წლის მაისში გამოკითხულთა 34%-ი თვილს, რომ სქესი შეიძლება განსხვავდებოდეს დაბადების დროს მინიჭებულისგან (Center, 2022).

ამერიკის ორი ძირითადი პარტია დემოკრატები და რესპუბლიკელებია. მათი პოლიტიკა განსხვავდება რიგ საკითხებში, მათ შორის LGBTQ საზოგადოების მიმართ. 2022 წლის

მონაცემებით რესპუბლიკელების 72%-ი თავს კონსერვატორად აღიქვამს, ხოლო დემოკრატების 54%-ი თავს ლიბერალად თვლის (SAAD, 2023). ბუნებრივია, მსგავსი განსხვავებიდან გამომდინარე, LGBTQ საზოგადოებისთვის და ლიბერალებისთვის დემოკრატების მმართველობა გაცილებით ხელსაყრელია. თუმცა იმის გამო, რომ მედია საშუალებებიც გამოხატავენ ლიბერალების მიმართ სიმპათიებს, ხშირად ჩნდება განცდა, რომ რესპუბლიკელების მიმართ ისინი უფრო პირდაპირები და კრიტიკულები არიან, ვიდრე დემოკრატების მიმართ. ამის საჩვენებლად საკმარისია ტრამპისა და ბაიდენის ნებისმიერი ინტერვიუს შედარება ერთმანეთთან. ბუნებრივია, მყარი არგუმენტი ამ განცდის ფაქტად წარმოჩენისა არ მოიპოვება, ამიტომ ეს უბრალოდ მოსაზრებაა და არა ფაქტი. კონსერვატორების მხარეს, გარდა რესპუბლიკერების უმრავლესობისა, დგას ბევრი პოპულარული და ინტელექტუალი ადამიანი. მაგალითად, ბენ შაპირო, კენდის ოუენსი, მეთ ვოლში და ა.შ. თავის მხრივ კენდის ოუენსი შავკანიანი ამერიკელი, რომელიც ეწინააღმდეგება თანამედროვე ამერიკაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ რასიზმი ფართოდაა გავრცელებული და რომ შავკანიანები იჩაგრებიან. ის ამ ყველაფერს უწოდებს ხალხით მანიპულაციის მცდელობას.

აღსანიშნავია ისეთი მოძრაობების არსებობა და შექმნის მიზეზი, როგორიცაა „Black lifes matter“. რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველაფრის მიუხედავად არის დარღვევები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს და რომელთა იგნორირებაც, ხშირ შემთხვევაში, ფატალურ შედეგს იწვევს. ამ მოძრაობის მთავარი მიზანი პოლიციელების მხრიდან (და არა მხოლოდ) შავკანიანი მოსახლეობის მიმართ არაჯანსაღი, აგრესიული და სტერეოტიპული დამოკიდებულების აღმოფხვრაა. აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობის შექმნის მიზეზი პოლიციელების მხრიდან შავკანიანი მოქალაქის მკვლელობა იყო. სწორედ ეს გახდა აღშფოთების მიზეზი. მსგავსი შემთხვევები ამერიკის ისტორიაში მრავალია და ამ პრობლემის გადაჭრისთვის ამერიკის შავკანიანი მოსახლეობა ძალიან დიდი ხნის მანძილზე იბრძვის.

თავი II ლიბერალიზმი და აბორტი

თანამედროვე ლიბერალიზმის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია აბორტები. თუმცა ამ დროისთვის აბორტების საერთო რაოდენობამ დაიკლო ამერიკაში. ასე მაგალითად, 2020 წელს დაფიქსირდა 620 327 აბორტი, რაც 2011 წლიდან 15%-ით შემცირდა (Prevention, 2022). ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტენდენცია აუცილებლად გაგრძელდება. გამომდინარე იქედან, რომ მემარცხენეების დიდი ნაწილი აბორტებს თავად ქალის გადაწყვეტილებად მიიჩნევს (Pro-choice), არსებობს საფრთხე, რომ აბორტების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ არსებობს შემთხვები, როცა აბორტი გამართლებულია მორალური კუთხითაც კი. მაგალითად, როდესაც ბავშვის გაჩენა დედის სიკვდილს გამოიწვევს ან/და ბავშვი არ არის ცოცხალი. ამ ნაშრომის მიზანი არ არის იმის განსაზღვრა თუ რამდენად გამართლებულია აბორტი მორალური ან პრაგმატული თვალსაზრისით, არამედ იმ საფრთხეების განსაზღვრა, რომლებსაც აბორტების „წახალისება“ და აბორტის, როგორც ლიბერალიზმის სავიზიტო ბარათათ აღქმა გამოიწვევს. ამერიკაში დაიწყო საპროტესტო აქციები მათ მიერ, ვისაც აბორტის გაკეთების დროს დედის არჩევანი უფრო მნიშვნელოვანი მიაჩნია. მათი ვებგვერდის საშუალებით (https://www.prochoiceamerica.org/) ისინი ცდილობენ დახმარება მოიპოვონ საზოგადოებაში და ცდილობენ საკუთარი შეხედულების გამართლებას. მათი შეხედულების მარტივად წარმოსახვა შესაძლებელია მათ მიერ გამოყენებული ხშირი ფრაზით „ჩემი სხეული, ჩემი არჩევანი“. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ჩანასახი, რომელსაც ისინი საკუთარ სხეულს ეძახიან არის ადამიანი, ჩამოყალიბების დაწყებით სტადიაზე, თუმცა კამათი იმასთან დაკავშირებით თუ როდის შეგვიძლია ჩანასახი ჩავთვალოთ პიროვნებად ჯერ კიდევ მიმდინარეობს ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის. სწორედ ამის განსაზღვრის განსხვავებული კრიტერიუმებია აბორტების გაკეთების სისწორეზე კამათის ერთ-ერთი მთავარი თემა. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ აბორტი ჩვეულებრივი რამაა და მისი გაკეთება ხდება

სურვილისამებრ ნებისმიერ დროს, არ არის სწორი, რადგან მას შეიძლება ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვეს თუკი შესაბამისი პირობები არ იქნა შესრულებული. აბორტის გაკეთების გადაწყვეტილების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულება პაციენტს სთხოვს კონსულტაცია გაიაროს ექიმთან რათა თავიდან იქნას აცილებული ზიანი პაციენტის ჯანმრთელობაზე. მსგავსი ინფორმაციის მოძიებისთვის საკმარისია ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულიბის ან სანდო სამედიცინო ვებ გვერდებზე შესვლა (მაგალითად, https://www.webmd.com/ , https://www.healthgrades.com/) ,სადაც მითითებულია აბორტების დადებითი და უარყოფითი მხარეები. აბორტების ზრდის ტენდეციებზე საუბრისას უნდა ვახსენოთ ისიც, რომ პოპულარული ადამიანებიც, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ საზოგადოების აზრზე, ხშირად იკავებენ „ჩემი სხეული, ჩემი არჩევანის“ პოზიციას. ამის გამო ხალხის დიდი ნაწილი იზიარებს მათ აზრს, რადგან მათთვის საყვარელ მუსიკალურ შემსრულებელს ან მსხაიობს უფრო ენდობიან ვიდრე სხვებს. აშშ-ს 14-მა შტატმა სრულიად აკრძალა აბორტები, 15-მა შტატმა კი შეზღუდვები დააწესა იმის მიხედვით თუ რამდენი კვირის ორსულია ქალი (Times, 2023). ამ პრეცენდენტს გამოეხმაურა ცნობილი მომღერა ბილი აილიში, საკუთარ კონცერტზე სადაც მან თქვა, რომ ეს იყო ბნელი დღე ამერიკელი ქალებისთვის (Savage, 2022). ბუნებრივია, მისი გულშემატკივრებისთის მსგავსი განცხადება მისაღები იქნება, რადგან მისი სიმღერები ძალიან ბევრს მოწონს, რაზეც მისი კონცერტებიც მეტყველებს. ბილი აილიში არ არის არც ბიოლოგი, არც პოლიტიკოსი, არც მეცნიერი და არც სოციოლოგი. მან უბრალიდ გამოთქვა საკუთარი აზრი, რომელიც შემდგომ აიტაცეს. შტატების მსგავსი გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე ბილი აილიშამდე საზოგადოების ნაწილიც იყო, რასაც აქციებიც მოჰყვა. როდესაც ვსაუბრობთ აბორტის აკრძალვაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან კანონზე გვერდის ავლით, არაპროფესიონალ ან/და არალიცენზირებული პიროვნებასთან აბორტის გაკეთების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში არასახარბიელო შედეგი გაცილებით დიდი ალბათობით დადგება. ასეთ

შემთხვევაში დაზიანდება არა მხოლოდ ნაყოფი, არამედ დედაც რომელიც ამ ნაყოფს ატარებს. შესაბამისად აბორტის აკრძალვაზე საუბრისას ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაიაზროს ყველა შესაძლო შედეგი. თუმცა, ჩემი აზრით, გარკვეული შეზღუდვა საჭიროა იმის მიხედვით თუ რამდენი ხანი მიმდინარეოს ორსულობა.ეს საკითხი არის ხშირი დისკუსიის საგანი, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ ლიბერალიზმის თანამედროვე გამოწვევებზე გვაქვს უფრო სერიოზული გამოწვევებიც, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ნაწილობრივ გავიზიაროთ ლიბერალური მიდგომა.

თავი III. ლიბერალიზმი კანადაში

კანადაში ლიბერალიზმს დიდი ისტორია აქვს. პირველად ლიბერალიზმი შემოიტანეს ლოიალისტებმა (United Empire Loyalists), რის შემდეგაც სიტყვა ლიბერალი კანადაში თავაწეულად ითქმებოდა (Axworthy, 2015). ბუნებრივია, თანდათან ლიბერალიზმმა სახე იცვალა და თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებსა და გამოწვევებს, მოდიფიცირებული სახით შეხვდა. თანამედროვე კანადაში ლიბერალური მოძრაობების როლი, ისევე როგორც მთელი არსებობის ისტორიის მანძილზე, ძალიან დიდია. უნივერსიტეტები, მასმედია, მთავრობა. ფაქტობრივად, ყველგან შეგვიძლია შევხვდეთ ადამიანებს, რომლებიც ემხრობიან ლიბერალურ იდეებს და კეთილგანწყობას ან სიტყვით ან უშუალო მოქმედებებით აჩვენებენ. როდესაც ვსაუბრობთ ლიბერალიზმზე და მის ზემოქმედებაზე ამა თუ იმ სახელმწფოში, ძალიან კარგი არჩევანია კანადაზე საუბარი, რადგან ის აშშ-ს არ ჩამორჩება ლიბერალური იდეების განხორციელებაში. რა შეიძლება იყოს დაბრკოლება მსგავს ქვეყანაში? დაბრკოლება, ისევე როგორც ყველგან, არის ლიბერალური იდეების რადიკალიზაცია, რაც თავის მხრივ იწვევს შემდგომ უნდობლობას ნებისმიერი წამოწყების მიმართ. არ არის მართებული დავა

იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები, თუმცა იმის გამო, რომ ლიბერალები კანადაში ხშირად „საზღვარს გადადიან“, ნებისმიერი იდეა, რომელიც წარმოდგენილია ლიბერალების ან მათი მომხრეების მიერ, იწვევს შეკითხვებსა და კრიტიკას. ამის მაგალითია კანადის მთავრობის მიერ მიღებული კანონი ნაცვალსხელების გამოყენებაზე (Bill C-16). ერთის მხრივ, კანადის მთავრობა ამ კანონპროექტით აჩვენებს საკუთარ კეთილანწყობასა და მზაობას დაიცვას უმცირესობები, მეორეს მხრივ კი ის ივიწყებს ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორიცაა სიტყვის და გამოხატვის უფლება. დოქტორი ჯორდან პიტერსონი, ბენ შაპირო და მთლიანად Dailywaire-ის ჯგუფი, სწორედ ამაზე ამახვილებენ ყურადღებას. ის ფაქტი, რომ ამ ადამიანებს მოსახლეობის დიდი რაოდენობა უჭერს მხარს, მეტყველებს იმაზე, რომ მხოლოდ ისინი არ ფიქრობენ ასე.

3.1. ლიბერალიზმი და სიტყვის თავისუფლება

თანამედროვე სამყაროში ლიბერალური იდეების რადიკალიზაციის თვალსაჩინო მაგალითია „Bill C-16“-ი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე ავალდებულებს მოქალაქეებს სხვა პიროვნებითვის სასურველი ნაცვალსახელების გამოყენებას (Canada, 2016). Parrhesia- ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს თავისუფლად საუბარს. თანამედროვე სამყაროში სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მის მნშვნელობაზე ჯერ კიდევ ძველი ბერძნები საუბრობდნენ. ძირითადად ფილოსოფოსები, როგორიც იყო სოკრატე, პლატონი და ა.შ. უფლება სახელმწიფოს მითითებებისა და შეზღუდვების (არარაციონალური) გარეშე გამოთქვა შენი აზრი და იაზროვნო აუცილებელი პირობაა თუკი გვინდა თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება. მიღებული კანონპროექტი კი ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების ძირითად იდეას, ისაუბრო სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ამ კანონპროექტის შემოღება არა მხოლოდ არღვევს სიტყვის თავისუფლებას, არამდე ქმნის საფრთხეს, რომ მთავრობა გააგრძელებს საზოგადოების კონტროლს და მის ყოველდღიურობაში ჩარევას, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს დიქტატორულ ან

ავტორიტარულ სახელმწიფომდე. სწორედ ასეთ სახელმწიფოებს ახასიათებს სიტყვებისა და აზრების კონტროლი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირი, სადაც ბოლშევიკებზე და თავად იოსებ სტალინზე ცუდის მთქმელ ადამიანის სიკვდილით დასჯა ან გადასახლება ემუქრებოოდა სამშობლოს ღალატის ბრალდებით. როგორც დოქტორი ჯორდან პიტერსონი ამბობს თავის ინტერვიუებსა და ლექციებზე, არის დიდი განსხვავება იმას თუ რა არ უნდა თქვა (ძალადობრივი ქმედებებისკენ მოწოდება, შეურაცხყოფა და ა.შ) და იმას შორის თუ რა უნდა თქვა . „Bill C-16"-ი არის ფაქტობრივად პირველი შემთხვევა თანამედროვე სამყაროში სიტყვებზე კონტროლის კონსტიტუციური გზით მოპოვებისა.

გენდერული საკითხი კანადაში ამ კანონი მიღების შემდეგ გამწვავდა. რატომ არის რთული კონკრეტული ნაცვალსახელების გამოყენება ან გენდერული მიკუთვნებულობის გათვალისწინება? ამის მთავარი მიზეზი გენდერების მუდმივად მზარდი რაოდენობა და მათი მრავალფეროვნებაა. მათი სრული შემადგენლობით დამახსოვრება ფაქტობრივად შეუძლებელია რიგითი ადამიანისთვის, რომელიც არ არის დაინტერესებული გენდერული საკითხებით. ამ გენდერების შესაძლო სრული ჩამონათვალი შეგვიძლია ვიხილოთ ადამიანის უფლებების კამპანიის ვებ გვერდზე, სადაც მითითებულია გენდერები და მათი განსაზღვრებები. ასეთია მაგალითად: Non-binary; Pansexual; Cisgender და ა.შ (Foundation, n.d.). თანდათან ამ გენდერების რაოდენობა იზრდება ისევე, როგორც მათი შესაბამის ნაცვალსახელების რაოდენობა და მრავალფეროვნებაც. ჩნდება შეკითხვა- მსგავს პირობებში, როგორ უნდა მოახერხოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა თავი გაართვას მთავრობის მიერ დაკისრებული ვალდებულებას ნაცვალსახელებთან მიმართებაში? ამ შეკითხვაზე ერთაზროვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. სწორედ ეს უკიდურესობა განსაზღვრავს, გარდა სიტყვის თავისუფლების შელახვისა, „Bill C-16"-ის არარაციონალურობას. მეტიც მსგავსი შემთხვევა იწვევს უკუდისკრიმინაციის შეგრძნების გაღრმავებას საზოგადოებაში იმ უმცირესობების მხრიდან, რომლებთა დასაცავადაც იქნა ეს კანონპროექტი მიღებული. მიუხედავად იმისა ხდებოდა თუ არა უმცირესობათა დისკრიმინაცია საზოგადოების მიერ (მსგავსი დისკრიმინაციის ყოვლისმომცველი ფაქტები არ არსებოს, თუმცა შესაძლოა არსებობდეს კონკრეტული შემთხვევები), ჩნდება განცდა საზოგადოების დიდი ნაწილის

დისკრიმინაციისა. შუღლი, უკმაყოფილება და უნდობლობა კანონპროექტის მიმართ, რომელიც სიტყვის თავისუფლებას ულახავს საზოგადოებას კიდევ უფრო დააშორებს უმცირესობებს საზოგადოების სხვა ნაწილებისგან. არავინ არ უარყოფს, რომ უმცირესობები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ნებისმიერი მოქალაქე და რომ მათ ისევე, როგორც სხვებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უფლებები, თუმცა საზოგადოების ერთ ნაწილს მისცე კონსტიტუციური პრიორიტეტი დანარჩენ ნაწილზე, არ არის კარგი სტრატეგია საზოგადოების ერთობის შექმნისთვის.

თავი IV. წინააღმდეგობები და გამოწვევები

იდეების რადიკალიზაცია და იძულებითი ხასიათი იწვევს საზოგადოების ორ შრედ დაყოფას. ერთი შრე ეწინააღმდეგება ფაქტობრივად ყველა ინიციატივას, მეორე შრე კი ეთანხმება ფაქტობრივად ყველა ინიციატივას. იმის წარმოსაჩენად თუ რა იწვევს მსგავს დაყოფას და გარკვეულ უთანხმოებებს, შეგვიძლია მოვიყვანოთ სკანდინავიის ქვეყნების მაგალითი, სადაც მიუხედავად დიდი ძალისხმევისა სახელმწიფოს მხრიდან შეექმნა თანაბარი პირობები საქმიანობაში ორივე სქესის ჩართვისთვის, ქალები და კაცები მაინც სხვადასხვა პროფესიებს ირჩევენ. შესაბამისად ანაზღაურებაც განსხვავდება. მაგალითად, შვედეთში უკვე დიდი ხანია რაც მიისწრაფვიან სამუშაო სფეროში ქალისა და კაცის თანასწორობისთვის, თუმცა მაინც არის განსხვავება ქალისა და მამაკაცის შემოსავლებს შორის (Sverige, 2022). ასე მაგალითად, 2021 წლის მონაცემებით შვედეთში ანაზღაურების სხვაობამ 9,9%-ი შეადგნია (Sverige, 2022). ხოლო 2022 წლის მონაცემებით აშშ-ში სხვაობა ხელფასებს შორის სქესის მიხედვით შეადგენს 16,9%-ს, ხოლო კანადაში 16.7%-ს (OECD, 2023). ამავე მონაცემებით 2022 წელს შვედეთისვის ეს მაჩვენებელი 7,2%-მდე ჩამოვიდა (OECD, 2023). შემოსავლების შესახებ დებატების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თუკი მოსახლეობას მივცემთ თავისუფლებას აიჩიოს საკუთარი პროფესია თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი აირჩევენ მათთვის მისაღებ შემოსავლის წყაროს და არა

იმას, რაც მთავრობას ან სხვა ჯგუფებს უნდათ. შესაბამისად იმის თქმა, რომ განსხვავება შემოსავლებს შორის უსამართლოა და რომელიმე სქესის დაკნინების შედეგია არ არის მართებული. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფვის თანაბარი შესაძლებლობების შემოღებისთვის, როგორც სამუშაო სფეროში ისე სხვა ნებისმიერ სფეროში. თუმცა ამის მიუხედავად არ არსებობს სახელმწიფო, რომელშიც ქალები და კაცები სახელმწიფო მასშტაბით ერთნაირად იყვნენ წარმოდგენილები ყველა სფეროში ან/და ერთნაირი შემოსავალი ჰქონდეთ. იმის უზრუნველყოფა კი, რომ ქალები და კაცები ყველა სფეროში ერთნაირად იყვნენ წარმოდგენილი, როგორც მინიმუმ ამ ეტაპისთის, იძულების გარეშე წარმოუდგენელია. იძულება კი ეწინააღმდეგება თავისუფლების და თანასწორობის იდეას. ამ ყველაფრის მიუხედავად ჯერ კიდევ არის დებატები, როგორც კანადაში, ისე აშშ-ში ამ განსხვავების აღმოფხვრაზე. არა გაანალიზებაზე და გამომწვევი მიზეზების დადგენაზე, არამედ აღმოფხვრაზე, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი მიდგომა. ცუდია თუ არა განსხვავებული შემოსავლები ქალებსა და კაცებს შორის? რთულია გასცე ამ შეკითხვას პასუხი, რადგან ამას თავისი მიზეზები აქვს. ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ქალების ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში და თანაბარი შესაძლებლობები ცხოვრების ყველა დონეზე სასურველი და მისაღები რამაა. თუკი ვიტყვით, რომ განსხვავებული შემოსავალი დისკრიმინაციი შედეგია, ამისთვის შესაბამისი ფაქტები უნდა მოვიყვანოთ, რომლებიც დაადასტურებს ინსტიტუციურ დისკრიმინაციას სახელმწიფოს მხრიდან ან/და კერძო კომპანიებისგან. სხვა შემთხვევაში მსგავსი განსხვავება შემოსავლებში ბუნებრივი რამაა და ინტერესთა სხვადასხვაობის შედეგია (სხვა ფაქტორებთან ერთად).

დაპირისპირებები საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის, იქნება ეს აბორტთან (Pro-choice vs Pro-life), იდეოლოგიურ მიკუთვნებულობასთან (Liberalism vs Conservatism) დაკავშირებით თუ ბანალურად გენდერული დაპირისპირება, ხელს უშლის საზოგადოების მხრიდან ახალი ლიბერალური იდეების მიღებას. ბუნებრივია, განსხვავებული აზრი საზოგადოებაში ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, თუმცა რადიკალიზაცია გამოთქმებში, იდეებსა და ქმედებებში კარგის მომტანი არასდროს არაა. დღევანდელ ლიბერალიზმზე არის წარმოდგენა, რომ მისი მიზანი ქალების უფლებების დაცვა კიარა,

მამაკაცების დაკნინება-დაჩაგვრაა. ამ აზრის გასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ახლად შემოტანილი (ლიბერალების მიერ) ტერმინი „ტოქსიკური მამაკაცურობა“. ეს ერთი შეხედვით მარტივი ტერმინი, რომლის გაგებაც არც თუ ისე რთულია (განმარტება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე: https://www.verywellmind.com/what-is-toxic-masculinity-5075107), გარკვეულ წინააღმდეგობებს ბადებს. მათ შორისაა მამაკაცზე „სტერეოტიპული“ წარმოდგენების გაზვიადება. მაგალითად განვიხილოთ: 1) ძალაუფლებისკენ სწრაფვა (Morin, 2022)- კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე კონკრეტული პიროვნებები ისწრაფვოდნენ და აღწევდნენ ძალაუფლების გარკვეულ დონეს. დღესდღეისობით შეიცვალა ამ ძალაუფლების მოპოვების საშუალებები და მოდიფიცირდა მისი გამოყენების შესაძლებლობა. წარმოდგენა, რომ ადამიანი (არა მხოლოდ მამაკაცი) არ უნდა ისწრაფვოდეს ძალაუფლების (სხვადასხვა სახის) მოპოვებისკენ კრიტიკას ვერ უძლებს. თანამედროვე მსოფლიოში სტატუსის მნიშვნელობა არ გაუქმებულა, ჯერ კიდევ არის სოციალური იერარქიები სხვა სახის იერარქიებთან ერთად და რაც უფრო მაღალ იერარქიას იკავებს ადამიანი, მით უფრო მეტია იმის შანსი, რომ ის პატივისცემას დაიმსახურებს. წარმოვიდგინოთ ორი ადამიანი - ბიზნესმენი, რომელიც კლასიკურად არის ჩაცმული (ბევრისთვის შეიძლება ეს იყოს ძალაუფლების მქონე მამაკაცის სტერეოტიპი) და მის გვერდით წარმოვიდგინოთ უსახლკარო, მოუწესრიგებელი ადამიანი (არ იგულიისხმება, რომ ისინი ნაკლებ პატივისცემას იმსახურებენ). რომელი მათგანის მიმართ იქნებით კეთილგანწყობილნი და რომელი მათგანის სიტყვას უფრო გაითვალისწინებთ? ნაკლებად შესაძლებელია, რომ ამ პირობებში სწორედ ამ ადამინის სიტყვა იქნება ჩვენთვის ავტორიტეტული. ნუთუ ვინმე მოუსმენს უსახლკარო ადამიანის მიერ წაკითხულ ლექციას იმის შესახებ თუ როგორ გავხდეთ მილიონერები? ყველა ჩვენთაგანის გონებაში არსებობს გარკვეული ფუძე, რომლის მიხედვითაც ჩვენ განვსაზღვრავთ ადამიანი ვინ არის და როგორია. კარლ იუნგმა გამოყო არქეტიპები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხდებით მათ შორის მარკეტინგშიც (არქეტიპების ჩამონათვალის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ვებგვერდზე: https://www.verywellmind.com/what-are-jungs-4-major-archetypes-2795439 ნანახია:2023 წლის 2 მაისს). იმის თქმა, რომ სტატუსს არ აქვს მნიშვნელობა

გულუბრყვილობაა ან გამიზნული დეზინფორმაცია. რაც შეეხება პატივისცემას, ეს ისეთი რამაა რასაც დამსახურება სჭირდება. ყველა ყველას, რომ სცემდეს, პატივს ბევრი პრობლემა საერთოდ არ იარსებებდა (შესაძლოა ბევრი სხვა შექმნილიყო). როდესაც ადამიანს პირველად ვხვდებით, უმეტეს შემთხვევაში, მის მიმართ ნეიტრალურად ვართ განწყობილი, შემდეგ მისი შეხედულებით, საუბრითა და ქცევებით ეს ნეიტრალურობა ან ნეგატიურ ან პოზიტიურ შეხედულებაში გადაიზრდება. აქედან გამომდინარე სტატუსს ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს დიდი მნიშვნელობა, ნებისმიერი ადამიანს შეუძლია მიისწრაფვოს ძალაუფლებისკენ კომპეტენციის და არა ფიზიკური ძალის მეშვეობით (გარდა შემთხვევებისა როცა საქმე სპორტს ეხება ან/და ფიზიკური ძალა ერთ-ერთი აღიარებული ელემენტია საქმიანობაში). ეს არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალების უფლებაცაა და ის შეგვიძლია ბუნებრივადაც ჩავთვალოთ; 2)ანტიფემინურობა (Morin, 2022)- ამაში ძირითადად გულისხმობენ ყველაფრის უარყოფას, რაც ფემინურთან ანუ ქალურთან ასოცირდება. მაგალითად დახმარების არ თხოვნა, ემოციების ჩვენება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს გაზვიადებული მოსაზრებაა, თუმცა მას აქვს არსებობის უფლება, რადგან ხშირად ასეთად წარმოიდგენენ ხოლმე მამაკაცს. თუმცა მედალს ორი მხარე აქვს. ერთის მხრივ მამაკაცების შეზღუდვა მსგავსი სტერეოტიპებით არ არის მართებული, მეორეს მხრივ ამ სტერეოტიპების გარკვეული დოზით შესრულება არა მხოლოდ მამაკაცს არამედ ქალსაც გააძლიერებს პიროვნულად. მარტივად რომ ვთქვათ, თუკი მამაკაცი (ვინაიდან ტოქსიკურ მამაკაცობაზე ვსაუბრობთ მამაკაცებს მოვიყვან მაგალითად ხოლმე) შეეჩვევა დამოუკიდებლობას სხვების დახმარებისგან და ისწავლის ადაპტაციას ახალი გამოწვევების მიმართ, ეს მას ცხოვრებაში ძალიან გამოადგება, თუმცა ამას არ უნდა ჰქონდეს გაზვიადებული ხასიათი. იმის თქმა, რომ „არავინ არ მჭირდება ყველაფერს თვითონ გავაკეთებ“ გულუბრყვილო და დამანგრეველი შედეგების მომტანია. როგორც არისტოტელე ამბობს „პოლიტიკაში“- ადამიანი არის სოციალური არსება, აქედან გამომდინარე მას სჭირდება სოციუმი და სოციუმს სჭირდება ის. თუმცა პრობლემის წარმოქმნის დროს საკუთარი კომპეტენციის გამოყენება და შემდეგ საჭიროების შემთხვევაში სხვისი დახმარების გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს ტოქსიკურ მამაკაცურობად. ვინ გადაწყვეტს რომელი ქმედება იქნება ტოქსიკური მამაკაცურობის შედეგი და რა გარანტიაა,

რომ ეს კლასიფიკაცია ზუსტი იქნება? ვფიქრობ, ამის გარანტია არ არსებობს და არც ისაა მართებული, რომ სხვამ განსაზღვროს რომელი ქმედებაა ტოქსიკური, როცა ეს ქმედება შეიძლება შეესაბამებოდეს ხასიათს, კლასს, კომპეტენციასა და სიტუაციის თავისებურებას. მსგავსი პრობლემა შეინიშნება ტოქსიკური მასკულინობის ყველა დეტალზე. რას ნიშნავს მამაკაცის ტოქსიკურობა? არის თუ არა ქალური ტოქსიკურობა? ვინ გადაწყვეტს რომელი ქმედებაა ტოქსიკური? ვინ უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილების რელევანტურობას? ეს ის კითხვებია, რომლებსაც ტოქსიკური მამაკაცურობის ტერმინის მომხრეები არგუმენტირებულად ვერ პასუხობენ. ვის სჭირდება სუსტი, ემოციური და სხვაზე დამოკიდებული ჯარისკაცი? ვის სჭირდება სუსტი, არაკომპეტენტური და ზედმეტად ემოციური პრეზიდენტი? ალბათ არავის. კომპეტენციის ამაღლება კი იწვევს სიმტკიცეს და დამოუკიდებლობის დიდი მაჩვენებელს, რაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ტოქსიკურ მამაკაცურობას. სწორედ ამ მიზეზების გამო ტერმინი „ტოქსიკური მამაკაცურობა“ არარელევანტური, არამეცნიერული და შეუსაბამო, რომელიც გამოყენება მამაკაცების დაკნინებისთვის. მსგავსი ტერმინების შემოღება და სწავლება, თითქოს მთელი ისტორიის მანძილზე მამაკაცები ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ ქალების დაკნინებისთვის, ძალადობდნენ და იმონებდნენ მათ, ქმნის ერთის მხრივ დანაშაულის გრძნობას ბიჭებში და მეორეს მხრივ ზიზღს და უსამართლობის შეგრძნებას გოგოებში. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ქალები და კაცები ერთად ხვდებოდნენ გამოწვევებსა და ტრაგედიებს. არცერთი მათგანის ცხოვრება არ იყო იდეალური და ყველა მათგანი თავისებურად იყო დაკნინებული. მამაკაცებს ომში წასვლა და რთული სამუშაობის კეთება უწევდათ, ქალებს მარტო უწევდათ ბავშვების ზრდა, საკუთრების მოვლა და არ ჰქონდათ დიდი ხნის მანძილზე ხმის მიცემის უფლება, ისევე როგორც მამაკაცთა დიდ ნაწილს (XVI- XIII საუკუნის ევროპის ბევრ ქვეყანაში, გაერთიანებულ სამეფოში მე-19 საუკუნემდე, აშშ-ში 1870 წლამდე და ა.შ).

კიდევ ერთი დაბრკოლება არის იდენტობის პოლიტიკა, რომელიც ხალხს რასის, იდეოლოგიური თუ რელიგიური თვალსაზრისით ჰყოფს (Duingan, 2022). არსებობს არგუმენტირებული საფრთხე, რომ მსგავსი პოლიტიკა უკანა პლანზე გადაწევს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და გამოიწვევს საზოგადოების ფრაგმენტაციას. თავის

მხრივ ეს ყველაფერი გამოიწვევს საკუთარი „ჯგუფის“ ინტერესების უფრო მაღლა დაყენებას, ვიდრე მთელი საზოგადოების. ეს დასტურდება ისეთი ავტორის მხრიდანაც კი ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილებით (ნაშრომში "იდენტობა; იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“), როგორიც ფუკუიამაა. ასეთ პირობებში საზოგადოების ერთობის შენარჩუნება ამა თუ იმ საკითხის მიმართ რთული მისაღწევია, რადგან არის საფრთხე, რომ ისინი პრინციპულად არ დაეთანხმებიან ერთმანეთს. საზოგადოების შეთანხმება კი გარკვეული საკითხების მიმართ აუცილებელია. ლიბერალების იმ ნაწილმა, რომლებიც რადიკალური იდენტობის პოლიტიკას ემხრობა, შეიძლება ითქვას, ხელი შეუშალა ლიბერალური იდეების გავრცელებას იმ დოზით, რა დოზითაც ეს აქამდე ხდებოდა. მათ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დათესეს უნდობლობა ლიბერალური იდეების მიმართ. ეს თავის მხრივ თავად ლიბერალიზმს აზიანებს და მას ცუდი კუთხით აჩენს.

ამ სიაში “Bill C-16 “-ი აუცილებლად უნდა ჩავრთოთ, რადგან სწორედ ამ კანონპროექტის გამო გამწვავდა დაპირისიპირება ლიბერალებსა და კონსერვოტორებს (ასევე მათ მომხრეებს) შორის. კანონი ნაცვალსახელების შესახებ კანადის მთავრობამ მიიღო ჯასტინ ტრიუდოს მეთაურობით (Canada, 2016). ამ კანონპროექტმა, ფაქტობრივად, გააერთიანა სხვა ყველა არსებული პრობლემა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მიუხედავად კანადის ხელისუფლების მცდელობისა, დაიცვას უმცირესობათა უფლებები, არ არის გამართლებული და ბევრ საფრთხეს ბადებს, როგორც უშუალოდ ისე გლობალურადაც, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ სხვა სახელმწიფოები კანადის მაგალითს არ გაითვალისწინებენ. თუკი სახელმწიფოს მსგავსი ქმედება სიმპათიას გამოიწვევს სხვებში, მსგავსი კანონპროექტების შემოღების ტენდენცია გაიზრდება და მალე, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ სიტყვებს გამოვიყენებთ, რომელთა გამოყენების უფლებასაც მოგვცემენ.

დასკვნა

თანამედროვე ლიბერალიზმი დიდი ძალაუფლების მქონე იდეოლოგიაა, მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანების დიდი რაოდენობის გამო. ეს ძალაუფლება ხშირ შემთხვევაში გამოიყენება პირადი მიზნებისთვის და არა საერთო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სიტყვების, ფიქრებისა ან/და ქცევების გაკონტროლების მცდელობები კი იწვევს უკუეფექტს, რაზე მიუთითებს დოქტორი ჯორდან პიტერსონის, ბენ შაპიროს, ენდრიუ ტეიტის, კენდის ოუენსისა და მსგავსი შეხედულებების მქონე ადამიანების პოპულარობა. ეს თავის მხრივ იწვევს ლიბერალიზმის მიმართ უნდობლობასა და ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც ხელს უშლის გარკვეული ინიციატივების დანერგვას, როცა ამ ინიციატივის უკან ლიბერალური იდეოლოგია დგას. საკანონმდებლო დონეზე სიტყვების კონტროლი და მასმედიის მიერ ლიბერალი ადამიანების მიმართ განსხვავებული და გაცილებით ლოიალური დამოკიდებულება იწვევს საზოგადოების დაყოფას იდეოლოგიური მიკუთვნილობის მიხედვით. დაყოფილი საზოგადოება კი საკუთარი შეხედულებების პოპულარიზაციისთვის მზად არის „მოწინააღმდეგე“ საზოგადეობის ყველა ინიციატივა უარყონ და გააუქმონ. აშშ-სა და კანადაში არსებული მდგომარეობა ლიბერაზიმის კუთხით ძალიან კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ რა ხდება, როცა კონკრეტული იდეოლოგიის მქონე საზოგადოების ნაწილი დიდ ძალაუფლებას ფლობს. აბორტები, იდენტობის პოლიტიკა, ნეოლოგიზმები და სხვა მეთოდები, რომლებსაც ლიბერალიზმი იყენებს საკუთარი პოზიციების გამყარებისთვის, წარმოადგენს დაბრკოლებებს, რომლებიც საზოგადოების შეთანხმების გზაზე დგას. ამ დაბრკოლებების გადაჭრა დიალოგის მეშვეობით არის შესაძლებელი. კონსტრუქციული დიალოგი ან დებატები საჭიროა აზრთა სხვადასხვაობის დროს საერთო შეხედულებებისა და აზრის ჩამოყალიბებისთვის. მოცემული ნაშრომის გაანალიზებით შესაძლებელია იმ შეცდომების გააზრება, რომლებიც ლიბერალიზმმა აშშ-სა და კანადაში დაუშვა, რათა მსგავსი შეცდომები არ განმეორდეს სამშობლოში.

თავისი ყოვლისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე ლიბერალიზმმა დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროში შეღწევა, რაც ხელს უშლის არჩევანის გაკეთებისას თავისუფლების შეგრძნებას. ისინი ვინც მიისწრაფვიან (სხვებთან

შედარებით მეტად) საზოგადოებრივი აღიარებისაკენ, დემონსტრაციულად იზიარებენ ამა თუ იმ ლიბერალურ „დოგმას“, იმის მიუხედავად ეთანხმებიან მას რეალურად თუ არა. მოცემულ სიტუაციაში პირველ პლანზე გამოდის საზოგადოების თვალში საკუთარი თავის „საუკეთესო კუთხით“ გამოჩენა, ხოლო ის თუ რა არის ამ ეტაპისთვის სახელმწიფოსთვის და მისი მოსახლეობისთვის უკეთესი მეორეხარისხოვანი რჩება. ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა იყოს მისაღები და აღიარებული საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან. სწორედ ამ მოთხოვნას აკმაყოფილლებს ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევრობა, რადგან მას გააჩნია მიმდევართა დიდი და ძლიერი მასა, რომლებიც გმობენ ყველა წინააღმდეგობას და თვალსაჩინოდ და გმირულადაც კი წარმოადგენენ მათი იდეების განხორციელებას/განმახორციელებლებს. აღნიშნული ფაქტი ზეწოლას ახდენს პოლიტიკოსებზე, სხვადასხვა სფეროში პოპულარულ ადამიანებზე და რიგით მოქალაქეებზე, რომლებსაც არ სურთ იყვნენ გარიყულნი.

განსაკუთრებულად ლიბერალიზმის ზეწოლის ხარისხი გამოვლინდა კანადაში, რაც თავის მხრივ გამოიხატა მიღებულ კანონპროექტში (BILL C-16). პოლიტიკოსების, საზოგადოების, უნივერსიტეტის პროფესორების დიდი ნაწილი ემხრობოდა ამ კანონპროექტს, თუმცა მისი საშიშროება კარგად უნდა იყოს გაანალიზებული. როდესაც კანონის მთავარი ასპექტი ხდება ემოციები და წარმოდგენები და არა რაციონალიზმი, პრაგმატიზმი და ფაქტები, კანონი იძენს ერთი ჯგუფის ინტერესების განმტარებლის სახეს და არ წარმოადგენს არანაირ სიკეთეს არა მხოლოდ მთელი საზოგადოებისთვის, არამედ იმ ჯგუფისთვისაც, რომლისთვისაც იყო ეს კანონპროექტი მიღებული. ემოციებს და შეხედულებბებს ხშირი ცვალებადობა ახასიათებს, რაც ძალიან დიდი ხელისშემლელი ფაქტორია როცა საქმე ეხება კანონებს. ფაქტები კი ფაქტებად რჩება განურჩევლად იმისა თუ ვინ რას ფიქრობს მათ შესახებ, სწორედ ამიტომ კანონების მიღებისას პოლიტიკოსები უნდა ხელმძღვანელობდნენ რაციონალურად/პრაგმატულად გააზრებული ფაქტობრივი ინფორმაციით და არა ემოციებითა და შეხედულებებით. ეს მნიშვნელოვანი პრინციპი დაირღვა კანადაში, რასაც შემდგომში გრძელვადიანი პროტესტები და დებატები მოჰყვა. სწორედ ამ გადაწყვეტილებამ და მსგავსმა ინიციატივებმა გამოიწვიეს კონსერვატორული

შეხედულებების მქონე ადამიანების პოპულარიზაცია. სწორედ ამ პირობებში მოხდა მათი აზრების ატაცება და მათი გაიგივება მხსნელებთან. ის, რომ ლიბერალიზმი ცდილობს მოწინააღმდეგე აზრისა და ადამიანების დადუმებას, თავად ლიბერალიზმს აზიანებს და მას ხდის იდეოლოგიად, რომელსაც განსხვავებული აზრი არ მოსწონს (აი ეს სიტყვის თავისუფლებაა მთავარი პრინციპი, რასაც საფრთხე ექნება ამ კანონით, სწორედ ამას ვამბობდი ჰიპოთეზის დაწერისას).და რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი იდეების გამართლებას დიალოგისა და ფაქტობრივი ინფორმაციის მეშვეობით. სანაცვლოდ ის ცდილობს საკუთარი გრძნობები დააყენოს ფაქტებსა და რაციონალიზმზე მაღლა, რითაც დიდი უკმაყოფილებასა და უნდობლობას იძენს საზოგადოების ნაწილში. ეს არ არის გასაკვი, ვინაიდან მსგავსი დამოკიდებულება ფაქტების მიმართ იწვევს რადიკალიზაციის საფრთხეს, რადგან ამ ხერხით ირღვევა დასაშვების ჩარჩო და გამოდის, რომ, ფაქტობრივად, ყველაფერი შეიძლება და ყველაფერი დასაშვებია.

ნაშრომში მოცემული ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების საფუძველზე ჩემი ჰიპოთეზა „თანამედროვე ლიბერალიზმი აშშ-სა და კანადაში ვიწრო იდენტობის ჯგუფების პოლიტიკაზე ორიენტირებით, ცდილობს ძალაუფლებასა და საყოველთაო კონტროლის მოპოვებას, რაც აშორებს ამ იდეოლოგიას თავისი საწყისი მიზნებისგან ან რაც განაპირობებს ლიბერალიზმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას“ დამტკიცდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Axworthy, T. S. (2015, June 5). *liberalism*. Retrieved from The Canadian Encyclopedia: https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/liberalism (ნანახია 2023 წლის 5 მაისს)

2. Canada, P. o. (2016, მაისი 17). *parl.ca.* Retrieved from https://parl.ca/DocumentViewer/en/42-1/bill/C-16/first-reading (ნანახია 2023 წლის 1 მაისს)

3. Center, P. R. (2022, June 23). Retrieved from Pew Research Center:

https://www.pewresearch.org/social-trends/2022/06/28/americans-complex-views-on-gender-identity

and-transgender-issues/psdt_06-28-22_gender_identity_0_0/ (ნანახია 2023 წლის 19 მაისს)

4. Congress, L. o. (2017). *loc.gov*. Retrieved from https://www.loc.gov/item/global-legal-monitor/2017-09-11/canada-senate-passes-landmark-transgender-rights-bill/ (ნანახია 2023 წლის 10 მაისს)

5. Cuncic, A. (2023, აპრილი 4). *verywellmind.com*. Retrieved from https://www.verywellmind.com/what-is-a-victim-mentality-5120615 (ნანახია 2023 წლის 6 მაისს)

6. Duingan, B. (2022, აგვისტო 31). *Britannica.com*. Retrieved from https://www.britannica.com/topic/identity-politics (ნანახია 2023 წლის 15 მაისს)

7. Dr. Peterson, J. B. (2017, მაისი 17). Senate hearing on Bill C-16 (25:49-25:56) from:

https://www.youtube.com/watch?v=KnIAAkSNtqo&t=1565s (ნანახია 2023 წლის 5 მაისს)

8. Foundation, H. (n.d.). *Glossary of Terms*. Retrieved from Human Rights Campaign: https://www.hrc.org/resources/glossary-of-terms?utm_medium=ads&utm_source=bing&utm_content=Glossary-Definition&utm_campaign=GoogleGrant&utm_source=GS&utm_medium=AD&utm_campaign=BPI-HRC-Grant&utm_content=&utm_term=how%20many%20genders%20are%20there (ნანახია 2023 წლის 4 მაისს)

9. Morin, A. (2022, November 14). *What Is Toxic Masculinity*. Retrieved from Verywellmind: https://www.verywellmind.com/what-is-toxic-masculinity-5075107 (ნანახია 2023 წლის 20 მარტს)

10. Munro, A. (2023, May 4). *Liberalism.* Retrieved from Britannica: https://www.britannica.com/topic/liberalism/The-modern-liberal-program (ნანახია 2023 წლის 5 მაისს)

11. OECD. (2023). *Gender wage gap (indicator)*. Retrieved from OECD: https://data.oecd.org/earnwage/gender-wage-gap.htm (ნანახია 2023 წლის 24 მაისს)

12. Prevention, C. f. (2022, November 25). *Abortion Surveillance-United States, 2020*. Retrieved from Centers for Disease Control and Prevention: https://www.cdc.gov/mmwr/volumes/71/ss/ss7110a1.htm?s_cid=ss7110a1_w (ნანახია 2023 წლის 22 მაისს)

13. SAAD, L. (2023, January 12). *Democrats' Identification as Liberal Now 54%, a New High*. Retrieved from GALLUP: https://news.gallup.com/poll/467888/democrats-identification-liberal-new-high.aspx (ნანახია 2023 წლის 17 მაისს)

14. Savage, M. (2022, June 25). *Billie Eilish protests against US abortion ruling at Glastonbury*. Retrieved from BBC: https://www.bbc.com/news/entertainment-arts-61933487 (ნანახია 2023 წლის 18 მაისს)

15. Sverige, S. (2022, November 18). *Gender equality*. Retrieved from Sweden Sverige: https://sweden.se/life/equality/gender-equality (ნანახია 2023 წლის 19 მაისს)

16. Times, T. N. (2023, May 22). *Tracking the States Where Abortion Is Now Banned*. Retrieved from The New York Times: https://www.nytimes.com/interactive/2022/us/abortion-laws-roe-v-wade.html (ნანახია 2023 წლის 23 მაისს)

17. Wire, D. (n.d.). *dailywire.com*. Retrieved from https://www.dailywire.com/about (ნანახია 2023 წლის 5 მაისს)